

# სოფელ ორბათის განაშენიანების გეგმა

განაშენიანების მართვის  
რეგლამენტი



## შემადგენლობა

<b>თავი I. ზოგადი დებულებები.....</b>	<b>3</b>
მუხლი 1. სოფელ ორბეთის განაშენიანების მართვის რეგლამენტი დამტკიცების საფუძვლები და ამოცანები .....	3
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება .....	4
მუხლი 3. მართვის რეგლამენტის სტრუქტურა .....	6
<b>თავი II. გგ-ს არეალის გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი პირობები და რეჟიმი 6</b>	
მუხლი 4. ფუნქციური ზონები და ქვეზონები, მათი რეგლამენტები, დასაშვები სახეობები. 6	
მუხლი 5. არასამშენებლო ტერიტორიები .....	11
<b>თავი III. სოფელ ორბეთის ტერიტორიის გდგ-ს დამუშავების პირობები.....</b>	<b>13</b>
მუხლი 6. გდგ-ს არეალები.....	13
მუხლი 7. საჯარო გამწვანება .....	14
მუხლი 8. საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები .....	14
მუხლი 9. განაშენიანების სიმჭიდროვე .....	15
<b>თავი IV. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემა .....</b>	<b>16</b>
მუხლი 10. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემის არეალები .....	16
მუხლი 11. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემის შინაარსი და შემადგენლობა .....	16
მუხლი 12. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემის შეთანხმების პროცედურა .....	17
<b>თავი V. სოფელ ორბეთის ტერიტორიაზე გამოყოფილი სექტორების სამშენებლოდ განვითარების პირობები .....</b>	<b>18</b>
მუხლი 13. ზოგადი მითითებები .....	18
მუხლი 14. სექტორების გეგმა .....	19
მუხლი 15. სექტორების განაშენიანების დეტალური პირობები .....	20
<b>თავი VI. დამცავი ზონები, მათი რეგლამენტები და ესთეტიკური პარამეტრები.....</b>	<b>32</b>
მუხლი 16. დამცავი ზონების სახეობები .....	32
მუხლი 17. სასაფლაოს სანიტარიული დაცვის ზონა .....	32
მუხლი 18. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონები .....	32
მუხლი 19. ელექტროგადამცემი ხაზის დამცავი ზონა.....	32
მუხლი 20. ბუნებრივი საფრთხეების დამცავი ზონები .....	33
მუხლი 21. ბუნებრივი აირის დამცავი ზონა.....	33
მუხლი 22. ესთეტიკური პარამეტრები და მიწის ნაკვეთების შემოდგომის მიმართ ზოგადი მოთხოვნები.34	
<b>თავი VII. გარდამავალი დებულებები .....</b>	<b>36</b>
მუხლი 23. გარდამავალი დებულებები.....	36

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. სოფელ ორბეთის განაშენიანების მართვის რეგლამენტი დამტკიცების საფუძვლები და ამოცანები

#### 1. სოფელ ორბეთის განაშენიანების მართვის რეგლამენტის დამტკიცების საფუძველს წარმოადგენს:

- ა) „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონი (შემდგომში კოდექსი);
- ბ) „სივრცითი დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის #260 დადგენილება;
- გ) „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის #261 დადგენილება (შემდგომში ძირითადი დებულებები);
- დ) „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ე) „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ვ) „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილება;
- ზ) „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილება;
- თ) „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონი
- ი) „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #365 დადგენილება

#### 2. სოფელ ორბეთის განაშენიანების მართვის რეგლამენტის ამოცანებია:

- ა) სოფელ ორბეთის ტერიტორიის განვითარების მიზნით, მისი გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების სათანადო უზრუნველყოფა;
- ბ) დასახლების მდგრადი განვითარება, საზოგადოების კეთილდღეობა, ღირსეული და უსაფრთხო გარემოს შექმნა. არქიტექტურული, ქალაქთმშენებლობითი და ლანდშაფტური ესთეტიკის შენარჩუნება, ამაღლება და განვითარება;
- გ) ჯანმრთელობისათვის უვნებელი საცხოვრებელი გარემოს და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა და შენარჩუნება;

- დ) სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, განახლება და განვითარება;
- ე) კულტურული, ისტორიული, არქიტექტურული, ურბანული მემკვიდრეობისა და ესთეტიკური ღირებულების მქონე გეგმარებითი ელემენტების (ქუჩების, მოედნების, შენობა-ნაგებობების, გამწვანებული ტერიტორიების) შენარჩუნება, მართვა და განვითარება;
- ვ) გარემოსა და რეკრეაციული ტერიტორიების დაცვა;
- ზ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიების დაცვისა და განვითარების ხელშეწყობა.

### 3. განაშენიანების გეგმის შემუშავების მიზნებია დადგინდეს:

- ა) სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიები;
- ბ) სამშენებლო ტერიტორიებისათვის განაშენიანების შესაბამისი ჰარამეტრები;
- გ) არასამშენებლო ტერიტორიებთან დაკავშირებული შესაძლო ცვლილებების პირობები;
- დ) მოთხოვნები საინჟინრო, სოციალურ და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით;
- ე) განაშენიანების დეტალური გეგმის არეალები;
- ვ) სოფელ ორბეთის ტერიტორიის ეფექტური განვითარების მიზნით, სექტორები;
- ზ) სექტორებში ქალაქთმშენებლობითი განვითარების ინდივიდუალური მოთხოვნები.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. წინამდებარე განაშენიანების გეგმის რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ბუნებრივი საფრთხეების ზონა** - არის მკაცრი შეზღუდვის ზონა და მოიცავს ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური კატასტროფების საფრთხის შემცველ ტერიტორიებს.

ბ) **განაშენიანების გეგმის გეგმარებითი არეალი (გგ-ს არეალი)** - სოფელ ორბეთის გეგმარებითი არეალი მოიცავს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის შიგნით მდებარე ტერიტორიას.

გ) **განაშენიანების მართვის რეგლამენტი (შემდგომში მართვის რეგლამენტი)** - სოფელ ორბეთის გგ-ს განაშენიანების მართვის რეგლამენტი, რომელიც სოფელ ორბეთის ტერიტორიისთვის ადგენს და/ან აზუსტებს ძირითად დებულებებში მოცემულ შემდეგ პირობებს: უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობების ძირითად და საგამონაკლისო ჩამონათვალს, განაშენიანების სახეობას, განაშენიანების ძირითად ჰარამეტრებს და სხვა საკითხებს, ტერიტორიის სპეციფიკიდან გამომდინარე;

დ) განაშენიანების სიმჭიდროვე - ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების რაოდენობისა და გდგ არეალის სრულ ფართობზე, მიწის ნაკვეთების დაყოფის სიმჭიდროვე.

ე) გგ - განაშენიანების გეგმა - კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული გეგმა;

ვ) გდგ - განაშენიანების დეტალური გეგმა, როგორც ეს განსაზღვრულია კოდექსის 41-ე მუხლით;

ზ) მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემა - სქემა, რომელიც აწესრიგებს უკვე გამიჯნული მიწის ნაკვეთების ჯგუფს. აღნიშნული სქემა წარმოდგენს მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის საფუძველს. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემის არეალები დადგენილია ისეთ უშენ ტერიტორიაზე, რომელიც დაყოფილია გარკვეული გეგმის საფუძველზე.

თ) საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები - კომერციული და ადმინისტრაციული დანიშნულების ობიექტები.

ი) სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია (ტიპი 1) - არასამშენებლო ტერიტორია, სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის ის ნაწილი, რომლის ცვლილებაც დაუშვებელია.

კ) სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია (ტიპი 2) - არასამშენებლო ტერიტორია, სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის ის ნაწილი, რომლის ცვლილებაც დასაშვებია გდგ-ს ინიცირების საფუძველზე, გგ-ში ცვლილების შეტანის გზით, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე რეგლამენტებით.

ლ) საჯარო გამწვანება - ტერიტორია გამოყოფილი გდგ-ს დამუშავებისას საჯარო გამწვანებულ სივრცეების მოსაწყობად. საჯარო გამწვანებების მიზნით გამოსაყოფი ტერიტორიის გამოყოფნის პრინციპი რეგულირდება წინამდებარე წესებით.

მ) სექტორების გეგმა - გეგმა, ნახაზი რომელიც ასახავს სოფელ ორბეთის ტერიტორიაზე სექტორების განლაგების სქემას.

ნ) სექტორი - სოფელ ორბეთში მისი ტერიტორიის ეფექტური განვითარების მიზნით გამოყოფილი ტერიტორიული დანაყოფები - სექტორები. სექტორებში დადგენილია განაშენიანების განვითარებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის ქალაქთმშენებლობითი პირობები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა აღნიშნული ტერიტორიების სამშენებლოდ ათვისებისას. სექტორების სამშენებლოდ განვითარება უნდა მოხდეს, გდგ-ს საფუძველზე თუ ასეთი მოთხოვნა ასახულია განაშენიანების მართვის რეგლამენტში.

2. სოფელ ორბეთის განაშენიანების მართვის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ნორმატიულ აქტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის, „სივრცითი დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019

წლის 3 ივნისის #260 დადგენილების, „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის #261 დადგენილების გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა,

### **მუხლი 3. მართვის რეგლამენტის სტრუქტურა**

1. მართვის რეგლამენტი შედგება 6 ძირითადი თავისგან:

ა) ზოგადი დებულებები;

ბ) გგ-ს არეალის გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი პირობები და რეჟიმი;

გ) სოფელ ორბეთის ტერიტორიის გდგ-ს არეალები, სექტორები და მათი რეგლამენტები.

დ) სოფელ ორბეთის ტერიტორიაზე გამოყოფილი სექტორების სამშენებლოდ განვითარების პირობები;

ე) დამცავი ზონები, მათი რეგლამენტები და ესთეტიური პარამეტრები;

ვ) გარდამავალი დებულებები.

## **თავი II. გგ-ს არეალის გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი პირობები და რეჟიმი**

### **მუხლი 4. ფუნქციური ზონები და ქვეზონები, მათი რეგლამენტები, დასაშვები სახეობები.**

1. ფუნქციური ზონირების პრინციპის საფუძველზე ხდება შესაბამისი ნორმატიული რეჟიმის განსაზღვრა. ნორმატიული რეჟიმი ადგენს გამოყენებისა და განვითარების მარეგულირებელ ნორმებს.

2. სოფელ ორბეთის ტერიტორიაზე გამოიყოფა სამშენებლო ტერიტორიები და არასამშენებლო ტერიტორიები.

3. სამშენებლო ტერიტორიებზე ნორმატიული რეჟიმი დგინდება სამშენებლო ფუნქციური ზონების და ქვეზონების და ძირითადი პარამეტრების დადგენით.

4. მართვის რეგლამენტის საფუძველზე სოფელ ორბეთის ტერიტორიაზე დადგენილია შემდეგი სამშენებლო ფუნქციური ზონები:

ა) შერეული ზონა (შზ);

ბ) საცხოვრებელი ზონა (სზ);

5. სოფელ ორბეთის ტერიტორიაზე არის შემდეგი სამშენებლო ფუნქციური ქვეზონები:

ა) **სასოფლო-სამოსახლო ზონა (შზ-1)** - შერეული ზონის ქვეზონა, სასოფლო-სამოსახლო ზონაში დასაშვებია საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე, ქვეზონისთვის შესაბამისი საზოგადოებრივი და სამეწარმეო ობიექტები, რომელიც გარემოზე არ ახდენს არსებით ზემოქმედებას.

**ა.ა) ნებადართული სახეობებია:**

- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი;
- სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტი;
- საბაღე და საბოსტნე მეურნეობისთვის საჭირო შენობა-ნაგებობა (მათ შორის, ორანჟერეა და სათბური);
- მეფრინველეობა-მეცხოველეობის სამეურნეო და ტექნიკური სამეურნეო ნაგებობა;
- სავაჭრო და კვების ობიექტი;
- სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტი;
- რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი;
- სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება;
- ადმინისტრაციული ობიექტი.

**ა.ბ) საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს:**

- სასტუმრო;
- ოფისი;
- ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.

**ბ) ცენტრის ზონა (შზ-2) -** საშუალო ინტენსივობის შერეული ზონის ქვეზონას, სადაც დომინირებს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები.

**ბ.ა) ნებადართული სახეობებია:**

- მრავალფუნქციური შენობა;
- სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
- კვების, სავაჭრო და საოფისე ობიექტი;
- სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს;
- რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი;
- სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება;
- სასტუმრო;
- ადმინისტრაციული ობიექტი;
- უმაღლესი სასწავლებელი და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულება;
- გასართობი დაწესებულება, რომლის დანიშნულებაა მისი დასაშვებობის საშუალებას იძლევა;
- ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.

**ბ.ბ) საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს:**

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
- სავაჭრო ცენტრი.

**გ) საკურორტო-სარეკრეაციო ზონა (შზ-4) -** შერეული ზონის ქვეზონა, რომელიც ემსახურება დასასვენებელი ან/და სამკურნალო დანიშნულების შენობა-ნაგებობების ფუნქციონირებას.

**გ.ა) ნებადართული სახეობებია:**

- დაბალი ინტენსივობის დასასვენებელი სახლი;
- სანატორიუმი და პანსიონატი;
- სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
- დასასვენებელი ბანაკი;
- სასტუმრო;
- ტურისტული ობიექტი;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების და ზოგადი განათლების დაწესებულება;
- კვების ობიექტი;
- გასართობი დაწესებულება;
- კულტურის, სოციალური, ჯანდაცვის და სასპორტო ობიექტი.

**დ) დაბალი ინტენსივობის საკურორტო-სარეკრეაციო ზონა (შზ-6) -** შერეული ზონის ქვეზონა, რომელიც ემსახურება დასასვენებელი ან/და სამკურნალო დანიშნულების შენობა-ნაგებობების ფუნქციონირებას.

**დ.ა) ნებადართული სახეობებია:**

- დაბალი ინტენსივობის დასასვენებელი სახლი;
- სანატორიუმი და პანსიონატი;
- სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
- დასასვენებელი ბანაკი;
- სასტუმრო;
- ტურისტული ობიექტი;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების და ზოგადი განათლების დაწესებულება;
- კვების ობიექტი;
- გასართობი დაწესებულება;

კულტურის, სოციალური, ჯანდაცვის და სასპორტო ობიექტი.

**დ.ბ) საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს:**

- რელიგიური/საკულტო ობიექტი;
- საცალო ვაჭრობის ობიექტი.

**ე) სააგარაკე-საცხოვრებელი ზონა (სზ-1) -** საცხოვრებელი ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს სეზონური დასასვენებელი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები.

**ე.ა) ნებადართული სახეობებია:**

- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (დომინირებული სახეობა);
- სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
- საოჯახო (არასამეწარმეო) საბაღე და საბოსტნე მეურნეობისთვის საჭირო შენობა-ნაგებობა (მათ შორის, ორანჟერეა და სათბური), სამეზობლო თმენისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით;
- მცირე ზომის სახელოსნო, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს;
- ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა;
- კვების და საცალო სავაჭრო ობიექტი, რომელიც ემსახურება შესაბამის განამენიანებას;

- საოჯახო სასტუმრო;
- ღია სასპორტო ობიექტები.

**ე.ბ) საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს:**

- რელიგიური/საკულტო ობიექტი;
- სასტუმრო;
- საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი.

**ვ) თითოეულ სამშენებლო ქვეზონაში დასაშვებია შემდეგი ობიექტების განთავსება:**


- აუზი
- ფანჯატური
- ავტოსადგომი (ღია ან დახურული)
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება
- სპორტული მოედანი
- სკვერი ან ლანდშაფტური ობიექტი
- საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტი
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტი
- ველობილიკი
- დაცვის ჯიხური

**ზ) განაშენიანების პარამეტრები.**



სამშენებლო ზონა	სამშენებლო ქვეზონა	კ1	კ2	კ3	განაშენიანების მაქსიმალური სართულიანობა	განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე (ფასადი)	განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე (სახურავის კეხი)	სამშენებლო მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი	მიწის ნაკვეთის მინიმალური ზომები (სიგანე - სიღრმე)
საცხოვრებელი ზონა (სზ)	სააგარაკე-საცხოვრებელი ზონა (სზ-1)	0.5	0.8	0.3	2+მანსარდა	8	10	500 მ <sup>2</sup> / *300 მ <sup>2</sup>	9მ - 15მ
შერეული ზონა (შზ)	სასოფლო-სამოსახლო ზონა (შზ-1)	0.5	0.8	0.3	2+მანსარდა	8	10	-	-
	ცენტრის ზონა (შზ-2)	0.7	3.5	0.2	3+მანსარდა	11	13	-	-
	საკურორტო-სარეკრეაციო ზონა (შზ-4)	0.2	0.6	0.8	3+მანსარდა	11	13	1000 მ <sup>2</sup>	12მ - 15მ
	დაბალი ინტენსივობის საკურორტო-სარეკრეაციო ზონა (შზ-6)	0.1	0.1	0.8	3+მანსარდა	11	13	1000 მ <sup>2</sup>	12მ - 15მ

\* სააგარაკე-საცხოვრებელ ზონაში, მინიმალური მიწის ფართობი 300 მ<sup>2</sup>, გამონაკლისის სახით დასაშვებია მხოლოდ მიწის ნაკვეთების საერთო რაოდენობის არაუმეტეს 10% ისათვის.

\* შენობა-ნაგებობების ფასადის საანგარიშო ზედაპირის მაქსიმალურ სიმაღლეში არ შედის: სახურავზე ასასვლელი კიბის უჯრედი, საჩრდილობელი, საკვამური მილი და სხვა მცირე არქიტექტურული დეტალები, რომელთა სიმაღლეც არ უნდა ასცდეს კეხისათვის დადგენილ მაქსიმალურ სიმაღლეს.



ქანობიანი რელიეფის შემთხვევაში, უნდა მოხდეს საპროექტო რელიეფის ვერტიკალური პროექცია დადგენილი სიმაღლეებით, და საპროექტო შენობა-ნაგებობა, არც ერთ წერტილში არ უნდა ცდებოდეს დადგენილ სიმაღლებს.



## მუხლი 5. არასამშენებლო ტერიტორიები

1. განაშენიანებისგან თავისუფალი ტერიტორიების გამოყოფის საფუძველს წარმოადგენს სოფელ ორბეთის განაშენიანების გეგმა. ტერიტორიაზე გამოიყოფა შემდეგი არასამშენებლო ტერიტორიები:

- სატყეო ტერიტორია;
- სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია;
- გამწვანებელი ტერიტორია;
- ლანდშაფტური ტერიტორია;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორია;
- საინჟინრო ინფრასტრუქტურის ტერიტორია.

2. **სატყეო ტერიტორია.** სატყეო ტერიტორია მოიცავს ნაშენი ტერიტორიების საზღვრებს გარეთ არსებულ სახელმწიფო/ადგილობრივი ტყისა ან/და სახელმწიფო/ადგილობრივი ტყის ფონდის ტერიტორიას სადაც შესაძლებელია მხოლოდ მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფი და მხმარე ობიექტების არსებობა, ძირითადი დებულებების 22-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ:

- სატყეო მეურნეობის განვითარებისთვის საჭირო მშენებლობისა;
- სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი მნიშვნელობის საჯარო სარგებლობის სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა;
- განაწესებადი ენერჯის პოტენციალის შესწავლა და წარმოება.

3. **სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია.** სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია მოიცავს არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს, სადაც შესაძლებელია მხოლოდ მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფი და მხმარე ობიექტების არსებობა, ძირითადი დებულებების 22-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ:

ა) დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა გარდა:

- სასოფლო მეურნეობის განვითარებისთვის საჭირო მშენებლობისა
- სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი მნიშვნელობის საჯარო სარგებლობის სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა;
- განაწესებადი ენერჯის პოტენციალის შესწავლა და წარმოება

ბ) სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია იყოფა 2 ტიპად:

- ტიპი 1 (სოფ.ტ.1), - შეცვლა დაუშვებელია.
- ტიპი 2 (სოფ.ტ.2), რომლის ნაწილის შეცვლა დასაშვებია სოფელ ორბეთის განაშენიანების გეგმაში ცვლილების შეტანის გზით. ცვლილების შეტანის ინიცირება უნდა განხორციელდეს, გდგ-ს დამუშავების პროცესის დაწყებამდე.

4. **გამწვანებელი ტერიტორია** - არის ნაშენ გარემოში არსებული გამწვანების ობიექტი (მაგალითად, ბულვარი, პარკი, ბაღი, სკვერი, გაზონი), რომლის ფართობის არანაკლებ 70%-ზე დაკულია წყალგამტარიანობა (კ-3), სადაც შესაძლებელია მოეწყოს დასასვენებელი/გასართობი ადგილები, სპორტული, სათამაშო, საკემპინგე, საქალაქო მებაღეობა, საბანაო ადგილები. გამწვანებულ ტერიტორიებს ასევე მიეკუთვნება სასაფლაოები, რომლის მოწყობა დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

**5. ბუნებრივი ლანდშაფტური ტერიტორია** - მოიცავს ბუნებრივი ლანდშაფტის ან ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიებს, სადაც შესაძლებელია მხოლოდ მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფი შენობა-ნაგებობების არსებობა. ლანდშაფტურ ტერიტორიაზე დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა:

- მისი ფუნქციონირებისა და დაცვისთვის უზრუნველყოფი შენობა-ნაგებობებისა;
- რელიგიური/საკულტო შენობა-ნაგებობებისა, საგამონაკლისო წესით;
- სპეციალური ტურისტული მარშუტით შეთანხმებული, პანორამული ხედების მქონე, ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის საჭირო შენობა-ნაგებობებისა.

## **6. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორია**

ა) ზელოკალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორია გულისხმობს შემდეგი სახის ტერიტორიების და ობიექტების არსებობას:

- საავტომობილო ტრანსპორტის ტერიტორია (საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი საავტომობილო გზები, სხვა, მუნიციპალური ტრანსპორტის და მთავარი გზების კარკასი და მათი გამტარი ნაგებობები);
- მთავარი გზები (მაგ., გზა, ბულვარი);

ბ) ლოკალური ტრანსპორტის ტერიტორია და მთავარი ქუჩები გულისხმობს შემდეგი სახის ტერიტორიების და ობიექტების არსებობას:

- მთავარი ქუჩების კარკასი;
- სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო ტერიტორია (საერთო სარგებლობის პარკინგისთვის, ქვეითთა ზონისთვის და სხვა).

გ) სატრანსპორტო ტერიტორიებზე გამოყოფილ არეალებში შესაძლებელია შემდეგი ობიექტების არსებობა:

- ავტოსადგომები;
- გზატკეცილების გასხვისების ზოლები და სადგურები (მათ შორის, ავტოსადგურები);
- სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფი სხვა საზოგადოებრივი სამყოფები/სათავსები;
- გამწვანებული გზაგამყოფები.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორიაზე დასაშვებია ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული საინჟინერო ინფრასტრუქტურის ობიექტების არსებობა.

## **7. საინჟინერო ინფრასტრუქტურის ტერიტორია**

ა) ლოკალური საინჟინერო ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი ტერიტორიაზე დასაშვებია.

- ელექტროდენი;
- ბუნებრივი აირი;
- სასმელი წყალი;
- ტექნიკური წყალი;

- წყალარინება სანიაღვრე;
- წყალარინება;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენები;
- ნაგავსაყრელი.

### თავი III. სოფელ ორბეთის ტერიტორიის გდგ-ს დამუშავების პირობები

#### მუხლი 6. გდგ-ს არეალები.

1. სოფელ ორბეთში გდგ-ს არეალები წარმოადგენს მიწის ნაკვეთების ერთგვარ ჯგუფს, რომელიც მდებარეობს სოფელ ორბეთის ტერიტორიაზე და მოქცეულია სექტორებში. მათი ადგილმდებარეობა დადგენილია სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირების რუკით.

2. სოფელ ორბეთში გდგ-ს დამუშავებისას დაცული უნდა იქნას კანონმდებლობის და წინამდებარე რეგლამინტით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ:

- საჯარო გამწვანების პრინციპი;
- სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია (ტიპი 2) - ისთვის არასამშენებლო ტერიტორიის ცვლილების პრინციპი;
- სიმჭიდროვის პრინციპი;
- საინჟინრო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის პრინციპი;
- სექტორების სამშენებლოდ განვითარების პირობები.

3. სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების საფუძველზე, გდგ-ს დამუშავების ნაცვლად მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურის დაწყება შესაძლებელია თუ გდგ-ების დამუშავების შემდეგ, სექტორში დარჩა ისეთი ფართის ტერიტორია რომელზეც გდგ-ს დამუშავება, მისი ფართობიდან გამდინარე, კანონმდებლობით არ არის სავალდებულო.

4. სოფელ ორბეთში გდგ-ს დამუშავებისას რეკომენდირებულია მოხდეს ეკოლოგიური და ენერგოეფექტური საინჟინრო ინფრასტრუქტურის დაგეგმვა, კერძოდ:

- მზის ენერჯის გამოყენება;
- ქარის ენერჯის გამოყენება;
- წვიმის წყლის შეგროვება და გამოყენება;
- ენერგოდამზოგავი გარე და შიდა განათება;
- პასიური არქიტექტურული გადაწყვეტები (შენობების პროექტირება ბუნებრივი ვენტილაციის, იზოლაციის და მზის სითბოს მაქსიმალურად გამოყენების პრინციპებით);
- წყალმომარაგებისა და წყალარინების ეკო-სისტემური მიდგომები;
- ადგილობრივი და ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალების გამოყენება.

5. გდგ-ს დამუშავების დროს დაურეგისტრირებელი ტერიტორიების რესურსი შეიძლება გამოყენებულ იქნას სატრანსპორტო, საინჟინრო ინფრასტრუქტურისათვის ან გამწვანებისათვის, იმგვარად რომ გდგ-ს არეალში ამის ხარჯზე არ გაიზარდოს რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ფართობი.

საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით, შესაძლებელია ზემოთ ხსენებული ტერიტორიების ადგილმონაცვლეობა სატრანსპორტო ან საინჟინრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით.

## **მუხლი 7. საჯარო გამწვანება**

1. სოფელ ორბეთში გდგ-ს დამუშავებისას დაცული უნდა იქნას საჯარო გამწვანების პრინციპი, რაც გულისხმობს საჯარო გამწვანებული სირცების დადგენას შემდეგი წესით:

ა) **გდგ არეალის 20%** - იმ შემთხვევაში თუ გდგ ტერიტორიის პერიმეტრის **25% ზე ნაკლებ ტერიტორიას** ესაზღვრება სატყეო ტერიტორია, ლანდშაფტის ტერიტორია ან გამწვანებული ტერიტორია.

ბ) **გდგ არეალის 15%** - იმ შემთხვევაში თუ გდგ ტერიტორიის პერიმეტრის **25% დან 50% მდე ტერიტორიას** ესაზღვრება სატყეო ტერიტორია, ლანდშაფტის ტერიტორია ან გამწვანებული ტერიტორია.

გ) **გდგ არეალის 10%** - იმ შემთხვევაში თუ გდგ ტერიტორიის პერიმეტრის **50% ზე მეტ ტერიტორიას** ესაზღვრება სატყეო ტერიტორია, ლანდშაფტის ტერიტორია ან გამწვანებული ტერიტორია.

2. საჯარო გამწვანებული სივრცისათვის გამოყოფილი ტერიტორია შეიძლება იყოს, საქართველოს მთავრობის დადგენილება №261 „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“, თავი III. განაშენიანებისგან თავისუფალი (არასამშენებლო) ტერიტორიები:

- გამწვანებული ტერიტორია

ასევე შეიძლება იყოს თავი II. სამშენებლო ტერიტორია:

- ცენტრის ზონა (შზ-2)
- საკურორტო-სარეკრეაციო ზონა (შზ-4)

3. სამშენებლო ტერიტორიის გამოყენება საჯარო გამწვანებისათვის შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორიაზე განთავსებული შენობა იქნება საჯარო ფუნქციის და მისი ტერიტორია იქნება შემოუღობავი და ხელმისაწვდომი სამეზობლოსთვის და ვიზიტორებისათვის. ამავდროულად დასაშვებია სრული გდგ არეალის შემოღობვა.

4. სამშენებლო ტერიტორიის საჯარო გამწვანებად გამოყენების შემთხვევაში გამწვანებული ტერიტორიის ფართობი უზრუნველყოფილი უნდა იყოს **კ3** კოეფიციენტის ხარჯზე.

## **მუხლი 8. საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები**

1. გდგ არეალში გათვალისწინებული უნდა იქნას საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები თუ დომინირებული სახეობებით განსაზღვრული შენობა-ნაგებობები 30 ერთეულზე მეტია.

2. საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა შეიძლება იყოს:

- სურსათის მაღაზია
- პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზია
- კაფე
- საერთო სამუშაო სივრცე
- სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი, შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში.

3. საზოგადოებრივი დანიშნულების შენობისათვის ფართობი დაანგარიშებული იყოს შემდეგი პრინციპით: **2 კვ/მ ყოველ საცხოვრებელ სახლზე.**

### მუხლი 9. განაშენიანების სიმჭიდროვე

1. განაშენიანების დეტალური გეგმით ან მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემით მიწის ნაკვეთების დაყოფისას გათვალისწინებული იქნას შემდეგი სიმჭიდროვე:

ფუნქციური ქვეზონა	განაშენიანების სიმჭიდროვე (1 ჰექტარზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ან დაბალი ინტენსივობის დასასვენებელი სახლების რაოდენობა)
სააგარაკე-საცხოვრებელი ზონა (სზ-1)	10
საკურორტო-სარეკრეაციო ზონა (შზ-4)	10
დაბალი ინტენსივობის საკურორტო- სარეკრეაციო ზონა (შზ-6)	10

2. სოფელ ორბეთის განაშენიანების გეგმის კონცეფციის დამტკიცებამდე დაყოფილი მიწის ნაკვეთებისათვის არ ვრცელდება განაშენიანების სიმჭიდროვის შეზღუდვა იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნილი პარამეტრები გადაჭარბებულია არსებული მდგომარეობით.

3. განაშენიანების სიმჭიდროვის მაჩვენებლის დაცვა უნდა მოხდეს სრული გდგ-ს ან მოწესრიგების სქემის არეალის ფარგლებში და არა ფუნქციური ქვეზონის ფარგლებში. აღნიშნული ხელს შეუწყობს ტერიტორიების საცხოვრებლის გარდა სხვა ფუნქციების გაჩენას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ტერიტორიების მდგრად განვითარებას.

4. განაშენიანების სიმჭიდროვის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ ტერიტორიებზე, რომლის განვითარებაც დაშვებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით (გაპი) მიუხედავად იმისა, აღნიშნული ტერიტორიების განვითარება მოხდება გაპით, გდგ თი თუ მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემით.

## თავი IV. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემა

### მუხლი 10. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემის არეალები

1. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემა, წარმოადგენს სქემას, რომელიც აწესრიგებს უკვე გამიჯნული მიწის ნაკვეთების ჯგუფს. აღნიშნული სქემა წარმოადგენს მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის საფუძველს. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემის არეალები დადგენილია ისეთ უშენ ტერიტორიაზე, რომელიც დაყოფილია გარკვეული გეგმის საფუძველზე. გათვალისწინებულია გზები, თუმცა ხშირ შემთხვევაში გზის სიგანე არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კონკრეტულ არეალებს ადგენს სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირების რუკა.
2. თითოეულ არეალში შესაძლებელია ერთი ან რამოდენიმე სქემის დამუშავება, თუმცა თითოეული სქემის არეალი უნდა წარმოადგენდეს ერთგვაროვანი ნაკვეთების ლოგიკური ჯგუფის ერთობლიობას.
3. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემა არის იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც თანხმდება მუნიციპალიტეტის შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით და არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, **სსიპ სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს** ქალაქმშენებლობითი დასკვნის საფუძველზე. მისი მიზანია დააზუსტოს გგ-ს მოთხოვნები და უზრუნველყოს მათი უკეთესი შესრულება. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემა არის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის საფუძველი და მასში ცვლილებების შეტანა ასევე უნდა აისახოს მის საფუძველზე დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში. ცვლილებები მიწის ნაკვეთის მოწესრიგების სქემაში შეიტანება იგივე წესით რაც მათი შეთანხმებისთვის არის საჭირო. მიწის ნაკვეთის მოწესრიგების სქემების შეთანხმება ხდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით დაინტერესებული პირის, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, მოსარგებლის მიმართვის საფუძველზე. მიმართვას თან უნდა დაერთოს მე-11 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაცია.
4. მიწის ნაკვეთის მოწესრიგების სქემა შეთანხმებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში წარმოადგენს მიწის ნაკვეთების დაყოფა/ გაერთიანების საფუძველს.

### მუხლი 11. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემის შინაარსი და შემადგენლობა

1. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემაში გათვალისწინებული უნდა იყოს:
  - ქუჩათა ქსელი კანონმდებლობის შესაბამისად
  - ამ დოკუმენტის მუხლი 7. ით განსაზღვრული საჯარო გამწვანების მოთხოვნები.
  - საჭიროების შემთხვევაში საინჟინრო ინფრასტრუქტურისათვის საჭირო ტერიტორიები
2. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემის საფუძველზე შეუძლებელია განაშენიანების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონების და ქვეზონების ცვლილება, თუმცა მოთხოვნების დაკმაყოფილება (გზების, საჯარო გამწვანების და ინფრასტრუქტურის ობიექტების შესახებ) უნდა მოხდეს სქემის შესაბამისად სერვიტუტების რეგისტრაციით ან რეგისტრაციების ცვლილებებისა და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საშუალებით.
3. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემის დამუშავების დროს დაურეგისტრირებული ტერიტორიების რესურსი შეიძლება გამოყენებულ იქნას სატრანსპორტო, საინჟინრო ინფრასტრუქტურისათვის ან გამწვანებისათვის, იმგვარად რომ არეალში ამის ხარჯზე არ გაიზარდოს რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ფართობი.

4. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემა უნდა შედგებოდეს შემდეგი დოკუმენტაციისგან:

კვლევითი ნაწილი:

- ტოპოგრაფიული გეგმა
- ორთოფოტოგადაღება
- ფოტოფიქსაცია
- არსებული საინჟინრო კომუნიკაციების სქემა
- არსებული საკადასტრო მონაცემები
- არსებული სატრანსპორტო კავშირების სქემა

საპროექტო ნაწილი:

- განმარტებითი ბარათი
- სქემის ესკიზი
- სატრანსპორტო მოძრაობის სქემა
- მიწის ნაკვეთების განაწილების სქემა
- სერვიტუტების სქემა
- შენობათა განთავსების შეზღუდვების რუკა
- საინჟინრო კომუნიკაციების სქემატური გეგმები

დამატებით მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემა შეიძლება მოიცავდეს:

- მოთხოვნებს ესთეტიკურ პარამეტრებთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა განაშენიანების გეგმით დადგენილი ან ქვეყანაში მოქმედი ესთეტიკური პარამეტრების გამკაცრება. წინააღმდეგ შემთხვევაში ტერიტორიაზე გავრცელდება განაშენიანების გეგმით დადგენილი და ქვეყანაში მოქმედი ესთეტიკური პარამეტრები.
- სხვა დოკუმენტაციას ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე.

## **მუხლი 12. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემის შეთანხმების პროცედურა**

1. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ითანხმებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური. მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემის შეთანხმების მოთხოვნით ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მიმართოს დაინტერესებულმა პირმა და განცხადებას დაურთოს დოკუმენტები, რომელიც მოცემულია მართვის რეგლამენტის მე-11 მუხლში. განაცხადის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 სამუშაო დღეს. საჭიროებიდან გამომდინარე განხილვის ვადა შესაძლოა გაგრძელდეს 3 (სამი) თვემდე. განხილვის ვადის გაგრძელების თაობაზე მიღებულ უნდა იქნას ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, შესაბამისი დასაბუთებით. მიწის ნაკვეთის მოწესრიგების სქემის შეთანხმების პროცესში ასევე მონაწილეობს **სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო**, რომელიც ახდენს შესათანხმებელი დოკუმენტის ქალაქმშენებლობითი დასკვნის მომზადებას. იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაციული ორგანო 15 დღიან ვადაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილებაზე ან უარის თქმის თაობაზე, მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემა ითვლება დამტკიცებულად.


2. საპროექტო მიწის ნაკვეთების შეთანხმებულ „მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემასთან“ შესაბამისობაში ყოფნის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე გასცემს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს.

## თავი V. სოფელ ორბეთის ტერიტორიაზე გამოყოფილი სექტორების სამშენებლოდ განვითარების პირობები

### მუხლი 13. ზოგადი მითითებები

1. ქვემოთ ჩამოთვლილი სექტორები წარმოადგენს არეალებს, რომლის ფარგლებშიც განსაზრულია გდგ-ს, მიწის ნაკვეთის მოწესრიგების სქემის და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მოთხოვნები. თითოეული არეალის შერჩევა უნდა მოხდეს სექტორის ფარგლებში, მიწის ნაკვეთების გარკვეული ლოგიკური ჯგუფებისათვის, რომლებშიც დაცული უნდა იქნას კანონმდებლობის მოთხოვნები საპროექტო ტერიტორიის მინიმალურ ფართობთან დაკავშირებით.
2. თითოეულ სექტორში შეიძლება დამუშავდეს 1 ან რამოდენიმე გდგ ან მიწის ნაკვეთის მოწესრიგების სქემა. გარდა პირველი სექტორისა, რომლის სამშენებლოდ განვითარება ხდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით.
3. გარდა პირველი სექტორისა, მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობებით დაშვებულია სხვა ტერიტორიების განვითარებაც, რომლებიც დადგენილია სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირების რუკით. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით განვითარების შემთხვევაში გასათვალისწინებელია განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზები, მომიჯნავე ნაკვეთებთან საავტომობილო მისასვლელი და სხვა ფაქტორები, რომლებიც დადგენილია განაშენიანების გეგმის დოკუმენტაციით.
4. იმ შემთხვევაში თუ გდგ-ს დამუშავების შემდეგ, სექტორში დარჩება გარკვეული მიწის ნაკვეთი/ნაკვეთები, რომლებზეც კანონმდებლობიდან გამომდინარე (ფართობიდან გამომდინარე) შეუძლებელი იქნება გდგ-ს დამუშავება, ამ მიწის ნაკვეთების განვითარება შესაძლებელი იქნება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით. ესეთ შემთხვევაში გდგ-ში უნდა იყოს გათვალისწინებული აღნიშნულ ნაკვეთებთან სატრანსპორტო კავშირი.

მუხლი 14. სექტორების გეგმა



## მუხლი 15. სექტორების განაშენიანების დეტალური პირობები

1. **სექტორი 1** - სოფელ ორბეთის ცენტრალური ნაშენი ტერიტორია. ტერიტორიის განვითარების შესაძლებლობა:

ა) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით (არ საჭიროებს გდგ დამუშავებას)

ბ) ფუნქციური ზონები და ტერიტორიები:

- სასოფლო-სამოსახლო ზონა (შზ-1)
- ცენტრის ზონა (შზ-2)
- საკურორტო-სარეკრეაციო ზონა (შზ-4)
- გამწვანებული ტერიტორია
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორია

განაშენიანების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონების და ქვეზონების ცვლილება დაუშვებელია.

ცენტრალურ ნაწილში განაშენიანება რეგულირდება განაშენიანების რეგულირების ხაზით (წითელი ხაზი).

2. **სექტორი 2** - სოფელ ორბეთის ნაშენი ტერიტორიასთან სამხრეთ აღმოსავლეთის მომიჯნავედ, მცირედ ნაშენი ტერიტორია.

ა) ტერიტორიის ნაწილის განვითარება დასაშვებია გდგ-ს საფუძველზე, ნაწილის „მიწის ნაკვეთების მოწესრიგების სქემით“, ხოლო ნაწილის განვითარება შესაძლებელია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით (იხ. სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირების რუკა)

ბ) განაშენიანების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონებისა და ტერიტორიების ცვლილება, რომელიც დასაშვებია გდგ-ს საფუძველზე, გგ-ში ცვლილებების შეტანის გზით:

გგ-თი დადგენილი	შესაძლო ცვლილება
